პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 მაისი, ხუთშაბათი,, 1987 წ.
№ 99 (9510) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ერთი დღე უჭადრაკოდ...

18 მაისს ქალთა XI საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი ისვენებდნენ. ჭადრაკის სასახლის დირექციამ მათთვის საინტერესო ექსკურსია მოაწყო საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში. სტუმრებმა დაათვალიერეს ჯვრის მონასტერი, მოინახულეს ჩვენი სიამაყე სვეტიცხოველი, სამთავრო და ბებრის ციხე.

სტუმრებს ვთხოვეთ გზადაგზა თავიანთი შთაბეჭდილებები გაეზიარებინათ.

ლილიანა ლეშნერი (პოლონეთი): პირველად ვარ არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირში.. ჩამოსვლისთანავე ვიგრძენი, რომ სტუმართმოყვარე ხალხში მოვხვდი, ძალიან დამაინტერესა თქვენი სამშობლოს ისტორიამ. ვფიქრობ, ცხოვრებაში მთავარია გქონდეს ნათელი მიზანი, მტკიცედ მიდიოდე მისკენ, ემსახურო და გამოადგე შენს ხალხს...

ევგენია პეიჩევა: გარდა იმისა, რომ ასეთი საინტერესო ექსკურსია გვჭონდა, ამდენი რამე ვნახეთ და გავიგეთ, კარგადაც დავისვენეთ, ქალაქგარეთ გასვლა ბომ რგებს ჯანმრთელობას. ჭადრაკს ჩემთვის დიდი სიხარული მოაქვს.

ჭრისთინ ნიუბერგი (შვეცია): დიდი სიხარულით მივიღე მოწვევა, რადგან აქამდე საბჭოთა კავშირში ერთხელაც არ ვყოფილვარ. მინდა თქვენთან კარგად ვითამაშო. ჩვენთან, შვეცაში, ძალიან პოპულარულია ფეხბურთი, ჰოკეი, ჩოგბურთი, ჭადრაკს კი, სამწუხაროდ, ბევრი არ წყალობს. ვფიქრობ, შვედ მოჭადრაკეთაგან მხოლოდ პია კრამლინგს შეუძლია ღირსეული მეტოქეობა გაუწიოს მსოფლიო ჩემპიონს მაია ჩიბურდანიძეს.

სურათზე: შეჯიბრების მონაწილენი, მხარეები და ორგანიზატორები სვეტიცხოველთან.
საქართველოს ქალთა XI საერთაშორისო ტურნირის ერთ-ერთი მონაწილის, პოლონელი ოსტატის **ლილიანა ლეშნერის** ფოტო.

19 მაისს ტურნირის მონაწილენი კვლავ მიუსხდნენ ჭადრაკის დაფებს. IV ტურის შეხვედრები ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა. დიდი ინტერესი გამოიწვია თამარ ხუციშვილისა და ციალა ჭასოშვილის შეხვედრამ. თავდაპირველად ხუციშვილმა პაიკი შეწირა მეტოქეს იმ იმედით, რომ ფიგურას მოიგებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. თამარი იძულებული გახდა ბრძოლა გაეგრძელებინა: მეორე პაიკი დროებით შეწირა და მხედრით ცენტრალური უჯრა დაიკავა. ორმხრივ ცაიტნოტში, როცა თითოეულ მეტოქეს

იხ. მე.2 გვ.

შაბათს, 23 მაისს, რესპუბლიკის მოედანზე

საქართველოს სპორტსახკომისა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის თაოსნობით

პირველად გაიმართება ერთდროული, მასობრივი საჭადრაკო სეანსი 700 დაფაზე — 25 დიდოსტატი, საერთაშორისო ოსტატი და ოსტატი ხვდება სპორტის ამ სახეობის მოყვარულებს, თამაშის ყველა მსურველს შემთხვევა გეძლევათ ეთამაშოთ ნონა გაფრინდაშვილს, ნანა ალექსანდრიას, ნანა იოსელიანს, ბუხუტა გურგენიძეს, თამაზ გიორგაძეს, ზურაბ აზმაიფარაშვილს, ზურაბ სტურუას, ამჟამად თბილისში მიმდინარე ქალთა საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებს...

ეს გრანდიოზული საჭადრაკო დღესასწაული რესპუბლიკის მოედანზე შაბათს, 18 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

ამპლერი მშვიდობის ველორბოლა

პოზიციას იმაგრებს

ერთდღიანი შესვენების შემდეგ განახლდა მშვიდობის ველორბოლა. მე-10 ეტაპს სტარტი ჩეხოსლოვაკიის ქალაქ გარახოვოში მიეცა. 128 კილომეტრის შემდეგ რბოლის მონაწილეებმა ფინიშის ხაზი პოლონეთის ქალაქ კარპაჩში გადაკვეთეს. ეტაპი ისევ უვე ამპლერმა (გდრ) მოიგო. დისტანცია მან 3:28.49-ში დაფარა.

ამპლერი ლიდერობას საერთო ჩათვლაშიც ინარჩუნებს. მას 1 წუთითა და 42 წამით ჩამორჩება პეტარ პეტროვი (ბულგარეთი). მესამე ადგილზე პოლონელმა ანჯეი მეჭევსკიმ გადაინაცვლა (სხვაობა ამპლერთან — 2 წუთი და 34 წამი). საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო შედეგი დიმიტრი კონიშევს აქვს (აგებს 4.59 წუთს) — VI ადგილი.

ელვა-ინფორმაცია

მოსკოვი (20 მაისი. ტელეფონით „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი). აქ დაიწყო მსოფლიო თახის ჯათამაშება მრგვალ სტენდზე სროლაში. ამ შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოდის თამაზ იმნაიშვილი, რომელმაც პირველ დღეს მიჯნას მხოლოდ ერთხელ აცდინა. იგი ლიდერთა შორისაა. ლიდერთა რიგებშია საბჭოთა ნაკრებიც.

მაია ჩიბურდანიძე დაჯილდოებულთა შორის

სსრ კავშირის სპორტსახკომის ბრძანებით ჭადრაკში სპორტული, შემოქმედებითი მიღწევებისთვის, ლიტერატურული, სამეცნიერო და სამწვრთნელო მოღვაწეობისთვის 1986 წლის შედეგების მიხედვით პრემიებით დაჯილდოვდა მოჭადრაკეთა, მწვრთნელთა, ჭადრაკის მოყვარულთა დიდი ჯგუფი. დაჯილდოებულთა შორის არიან მსოფლიო ჩემპიონები მაია ჩიბურდანიძე და გარი კასპაროვი. ისინი სპორტული და შემოქმედებითი მიღწევებისთვის დაჯილდოვდნენ სამახსოვრო პრიზებით — „საჭადრაკო წლის ლაურეატი“.

აქვე გაცნობებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე და საერთაშორისო დიდოსტატი ედუარდ გუფელდი, როგორც სპორტსახკომის ჭადრაკის განყოფილებიდან შეგვატყობინეს, ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებიან ამ ქვეყნის ჭადრაკის ფედერაციის მიწვევით.

მესხი და მეტრეველი...

ჩოგბურთის კორტების ლაურეატები

18 ქალი და ამდენივე ვაჟი ხუთი დღის განმავლობაში იბრძოდა საქართველოს უძლიერესი ჩოგბურთელის სახელის მოსაპოვებლად თბილისის „დინამოს“ კორტებზე. ასპარეზობაში პრაქტიკულად ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა საუკეთესო ჩოგბურთელი მონაწილეობდა, ვლადიმერ გაბრიჩიძის და ირინე მალცაძის გარდა. ვლადიმერი ამ დღეებში საერთაშორისო ტურნირში გამოდის დასავლეთ გერმანიაში, ირინე კი კორტზე ავადმყოფობის გამო ვერ გამოვიდა.

ლეილა მესხი

შეჯიბრების პირველ ეტაპზე ჩოგბურთელებმა ოლიმპიური, ე. ი. გამოთიშვითი სისტემით ითამაშეს. ნახევარფინალის შემდეგ კი წრიული სისტემით ითამაშეს. აი, წინასწარი შეხვედრების შედეგად გამოვლენილი „ოქროს ოთხეულები“: — ლეილა მესხი, ეკა ბოკუჩავა, ნინო წირღვავა, თეა თარხნიშვილი და დავით კაჭარავა, ირაკლი მეტრეველი, გია კუპრეიშვილი, დავით კვარაცხელია.

როგორც მოსალოდნელი იყო ფინალისკენ ადვილად გაიკაფა გზა ლ. მესხმა. მეორე ფინალისტი ე. ბოკუჩავა გახდა. გამოცდილმა მესხმა გადამწყვეტ შეხვედრაში თავდაპირველად დიდ უპირატესობას მიაღწია — პირველი პარტია მოიგო 6:2, მეორე პარტიაში კი ანგარიში ე. ბოკუჩავას მიჰყავდა (3:1), მაგრამ სსრ კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა მაინც დაჯაბნა მეტოქე — 6:3 და საქართველოს ჩემპიონი გახდა. მესამე ადგილი დაისაკუთრა ნ. წირღვავამ, რომელმაც თ. თარხნიშვილს ანგარიშით 6:4, 4:6, 6:1 სძლია.

ვაჟთა ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ დ. კაჭარავა და ი. მეტრეველი. ბრძოლა საკმაოდ გამწვავდა და 2 საათამდე გაგრძელდა. მეტრეველმა შეძლო ძლიერი მეტოჭის დამარცხება — 7:6, 7:5.

გ. კუპრეიშვილმა ასევე დაძაბულ ბრძოლაში მოუგო დ. კვარაცხელიას — 6:4, 4:6, 6:2 და მესამე ადგილზე გავიდა.

აი, რა გვითხრა ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა **თომას ლეიუსმა:**

—ეს შეჯიბრება მზადყოფნის შემოწმების საუკეთესო საშუალება იყო ტალინის დიდი საერთაშორისო ტურნირის წინ, რომელიც ივნისში გაიმართება და ქვეყნის თასის გათამაშებამდე. იქ, ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას დაიცავს თბილისის „დინამო“. ცხადია, ამ ტურნირში გაბრიჩიძეც რომ გამოსულიყო, ასპარეზობა უფრო საინტერესო იქნებოდა, თუმცა სიმწვავე ფინალურ ბრძოლებს, როგორც იცით, მაინც არ მოკლებია, სამწუხაროდ, ქალთა შორის ჯერჯერობით არ ჩანს ლეილა მესხის ღირსეული მეტოქე. ამ შეჯიბრებაზე სპორტის ოსტატთა რიგებს კიდევ ერთი წევრი მოემატა — ესაა 15 წლის თბილისელი მოსწავლე დიმიტრი ტერტერიანი, ნინო წირღვავამ და თეა თარხნიშვილმა კი ოსტატობის ნორმატივის შესასრულებელი ქულები მიიღეს.

არტემ მალაიანცი,
საკავშირო კატეგორიის მხარე.


ირაკლი მეტრეველი

ნოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის სპორტსახკომმა ამ დღეებში გამართულ კოლეგიის სხდომაზე სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის სპორტიო წოდება მიანიჭა სპეციალისტთა ერთ ჯგუფს, რომელთა შორის ორი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელია. ესენი არიან **ნ. სხირელი** — გორის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში და **ი. ნიკოლაძე** — „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს უფროსი მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში (თბილისი).

სპორტული ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა

თბილისში სპორტის სასახლის წინ გაიხსნა სპორტული ნაწარმის საზაფხულო გამოფენა-გაყიდვა, რომელიც მოაწყო საქართველოს საბითუმო-საცალო გაერთიანება „სპორტსაქონელმა“. აქ შეიძლება შეიძინოთ სპორტული ტანსაცმელი, სპორტინვენტარი, ველოსიპედები, მოტოციკლები, მსუბუქი ავტომანქანები... ბევრი სხვა საბჭოური და იმპორტული საქონელი.

გამოფენა-გაყიდვა გრძელდება 15 ივნისამდე.

ი. შლამოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ერთი დღე უჭადრაკოდ...

დასასრული

სულ ცოტა ხუთ-ხუთი წუთი დარჩა ბოლო თერთმეტი სვლის გასაკეთებლად, ორივე მხარეს გაუჭირდა თამაში, რასაც შეცდომებიც მოჰყვა. საბოლოოდ ქალაშვილმა მუდმივი ქიშით პარტია ყაიმით დაასრულა.

ჰენრიეტა ლაგვილავასა და ნატალია კონოპლიოვას პარტიაში ლაგვილავამ დებიუტში მცირე პოზიციური უპირატესობა მიიღო, მაგრამ მოსკოველი დიდოსტატი ზუსტად თამაშობდა და როდესაც პოზიცია გათანაბრდა, მეტოქენი დაზავდნენ.

ევგენია პეიჩევამ დებიუტში უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ ლილიან ლეშერმა შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. ცაიტნოტში ბულგარელმა ოსტატმა ხარისხი დაკარგა და თავი დამარცხებულად სცნო.

საინტერესოდ წარიმართა რუმინეთის ჩემპიონ ლიჯია ჟიკმანისა და ქეთევან არახამიას პარტია. ქეთევანმა აგრესიულად შეუტია მეტოქეს — ისარგებლა რუმინელი საერთაშორისო ოსტატის ფიგურების ცუდი განლაგებით და ეფექტური კომბინაციით ორი პაიკი მოიგო, შემდეგ კარგად გამოიყენა მატერიალური უპირატესობა და გაიმარჯვა. ქეთევანმა კიდევ ერთი ქულა შემატა თავის აქტივს — III ტურიდან გადადებულ პარტიაში მას თამაშის განუახლებლად დანებდა ზაიცევა.

ლიუდმილა ზაიცევასა და ელენა ახმილოვსკაიას პარტიაში შავებმა შეძლეს პოზიციის გათანაბრება, შემდეგ უპირატესობის მოპოვება და გამარჯვებაც.

ქრისთინ ნიუბერგისა და ქეთევან კახიანის პარტია მწვავე პოზიციურ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ბრძოლა ძირითადად ცენტრისკენ იყო მიმართული. კახიანმა თვალსაჩინო უპირატესობა მიიღო და პაიკი მოიგო. პარტია ქეთევანისთვის უკეთეს პოზიციაში გადაიდო. მას ზედმეტი პაიკი და მოგების შანსი აქვს.

4 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება: ელენა ახმილოვსკაია — 3 (1), ქეთევან არახამია, თამარ ხუგაშვილი — 3–3, ლილიანა ლეშერი (პოლონეთი) — 2 (1), ლიჯია ჟიკმანი (რუმინეთი) — 2.

ვასილ ვაშაკიძე,
ოსტატობის კანდიდატი.

ჩვიდმეტ წრონით კატეგორიაში

დიდი ჯიხაიშის სპორტულ კომპლექსში ჩატარდა საქართველოს მოსწავლეთა პირადი პირველობა კლასიკური სტილით ჭიდაობაში 1973-1974 წლებში დაბადებულ პაბუკთა შორის.

27 ქალაქისა და რაიონის 305 სპორტსმენი გამარჯვებისთვის იბრძოდა 17 წონით კატეგორიაში. პირველი ადგილები დაიკავეს: თბილისელებმა — შალვა აშხანიშვილმა, გოჩა ცისიშვილმა, გიორგი ხმიადაშვილმა, დავით გაბაშვილმა, ქუთაისელებმა — შალვა ქობულაძემ, ირაკლი წურწუმიამ, გიორგი სალდხემ, ბათუმელებმა — ჯამბულ ფუტკარაძემ, ზაურ ბოლქვაძემ, სამტრედიელებმა — გოჩა ბოცვაძემ, გელა ხუჭუამ, მახარაძელებმა — თენგიზ მელუამ, დავით დოლიძემ, ბორჯომელმა გელა ლელაძემ, მარტყოფელმა გელა ჯერენაშვილმა, ცხაკაიელმა მერაბ ადამიამ და რუსთაველმა ლევან ცაბაძემ.

მოკლედ

გორი

ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავს მიეძღვნა მოსწავლეთა რაიონული პირად-გუნდური შეჯიბრება ჭადრაკში კომკავშირის რაიკომის პრიზზე.

I–III ადგილები შესაბამისად დაიკავეს ზემო ხვითის, ქიწნისისა და ქვახვრელის წარმომადგენლებმა, პირად ჩათვლაში საუკეთესო შედეგები აჩვენეს ძმებმა ზურაბ, ვანო ლაზარაშვილებმა და ირმა ივანიძემ, რომლებმაც დაუმარცხებლად განვლეს შეჯიბრება. კარგად იასპარეზეს ქიწნისელმა ამირან ბალაშვილმა და რუსუდან დემურიშვილმა, ქვახვრელელმა თემურ აფხაზიშვილმა და ეკა მორჩილაძემ. ყურადღება მიიქცია, აგრეთვე, კარალეთის საშუალო სკოლის მეექვსეკლასელმა ილია მურადაშვილმა და გარეჯვარელმა ძმებმა ანდრო და ბაგრატ ბერიანიძეებმა.

ყველაზე ლამაზი პარტიისთვის სპეციალური პრიზი გადაეცათ ზურაბ ლაზარაშვილს და შალვა გიგაურს.

ილია თევდორაშვილი,
„ლელოს“ კორ.



მიმდინარეობს სპორტული ნაგებობებისა და მარტივი სპორტული მოედნების კეთილმოწყობა-დათვალიერების ორთვიური

ბიბლიოთეკა

არის კიდევ ერთი ახალი კომპლექსი

ორთვიურის მიმდინარეობის დღეებში შესანიშნავი ხაჩუქარი მიიღეს ახმეტელმა მოსწავლეებმა. ეს ახალი სპორტული კომპლექსი რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლისთვის აიგო.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

გულისწყრომის სტრიქონები

ძვირფასო რედაქცია!

თხოვნით მოგმართავთ ახალციხის რაიონის სოფელ ღრელის ახალგაზრდები. ჩვენ ერთ დროს გვქონდა საფეხბურთო მოედანი, მაგრამ იგი სამოსახლოდ გასცეს, შემდეგ სხვა ადგილას გადავიხვეწეთ, მაგრამ იქ გარაჟი მოაწყვეს. მერე კიდევ გამოგვიყვეს ადგილი, მაგრამ მის კეთილმოწყობაზე არავის უფიქრია.

სამუშაოდან დაბრუნებული ახალგაზრდები ძოლებით ვართ შინ ვისხდეთ, რადგან ბურთის სათამაშო მოედანი არა გვაქვს. საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებს ბევრჯერ მივმართეთ თხოვნით, მაგრამ ყურადღება არ მოგვაქცეს.

ძვირფასო რედაქცია, იქნებ თქვენ გვიშუამდგომლოთ მათთან? ველით თქვენს პასუხს!

სოფელ ღრელის ახალგაზრდები.

ალგათ აღარ გაჭიანურდება

პირველი მაისის რაიონში დიღმის მასივში მდებარე სასკოლო-თაშორისო ბუზი, მართალია, შეუფერხებლად მუშაობს, მაგრამ, როცა წყალს ცვლიან, ძველი, ჩუჩუყიანი წყალი პირდაპირ ქუჩაში იღვრება და მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას და გულისწყრომას იწვევს. მიზეზი? შარშან თბოქსელის მეურნეობამ თავისი მილები შეცვალა და აუზისა კი დაახიანა. სამწუხაროდ, აღდგენა არავის გახსენებია. შესაძლოა პირველი მაისის რაისაბჭოს აღმასკომის ახალმა ხელმძღვანელობამ ამის შესახებ არაფერი იცის. იმედი გვაქვს საკითხის მოგვარება აღარ გაჭიანურდება.

დიღმის მახივის III კვარტალის მცხოვრებლები.

რედაქციისაგან: ორივე წერილზე, იმედია, პასუხს დროულად მივიღებთ.

დაგვეხმარეთ!

SOS

სპორტული მოედნების დათვალიერების ორთვიურის დღეებში თქვენი გაზეთის ფურცლებზე ბევრი რაიონის ნაკლი გამომზეურდა. „ლელოს“ მკითხველები დავრწმუნდით, რომ იქ, სადაც თქვენი გაზეთის კრიტიკული თვალი მიხვდა, მდგომარეობა ბევრგან გამოსწორდა, იქნებ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩხუტუნეთის ახალგაზრდობასაც მოგვხედოთ?

არა გვაქვს სპორტული მოედნები. რაც გვაქვს, არც ისაა კეთილმოწყობილი. ჩვენი თხოვნა არავინ შეიხმირა, ამიტომ თავად შევეძინეთ ინვენტარი, სპორტული ფორმა, ბურთი. ეს ყველაფერი აღმართის სახოფლო საბჭოში ხდება.

იქნებ ჩვენც დაგვეხმაროთ?

ხელვაჩაურის რაიონი.
სოფ. ჩხუტუნეთი,
აღმართის სასოფლო საბჭო.

რა აწუხებს მკითხველს?

ჯგუფები გაუქმდა, რატომ?

პატივცემულო რედაქცია, „ლელო“ იუწყებოდა, რომ თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსი ცურვის გამაჯანსაღებელ ჯგუფებში მსურველთა მიღებას აცხადებდა, მაგრამ საათობით რიგში მდგარი, ქანცგაწყვეტილი მშობლები უარით გამოგვისტუმრეს: თქვენი შვილი 25 წლის თუ არის, ჯგუფში ვერ მივიღებთო. რა მოვუხერხოთ მერვე, მეცხრეკლასელ ბავშვებს? რატომ გააუქმეს ბავშვთა გამაჯანსაღებელი ჯგუფები? მეორეც: რატომ არ იყო „ლელოში“ გამოქვეყნებული განცხადებაში მითითებული რა ასაკის მოზარდებს ღებულობდნენ ჯგუფში სამეცადინოდ?“, — გვწერდა თბილისელი ყ. ფილიევი.

საკითხის გასარკვევად თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსის დირექტორს ვლადიმერ გოიაშვილს ვეწვიეთ.

— გაზეთში მითითებული იყო, რომ ვაცხადებდით მსურველთა დამატებით მიღებას უკვე არსებულ გამაჯანსაღებელ ჯგუფებში, რომლებიც დადგენილ საათებში მეცადინეობენ, — გვითხრა გ. გოიაშვილმა. — განცხადებაში არაფერი ყოფილა ნათქვამი ბავშვთა ცურვის შემსწავლელ ჯგუფებზე და იმ ასაკის ბავშვებსა და მოზარდებზე, რომლებიც ე. წ. სპორტულ-გამაჯანსაღებელ ჯგუფებში მეცადინეობენ. სხვათა შორის ეს ჯგუფები ჩვენი ინიციატივით ჩამოყალიბდა და იმ საათებში იკრიბებოდნენ სამეცადინოდ, როცა აუზში თავისუფალი ადგილი იყო. ახლა კი იმის გამო, რომ კომპლექსზე ვარჯიში დაიწყეს საქართველოს ნაკრებებმა წყალში ხტომასა და წყალბურთში, არსებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი ჯგუფების გახლების საშუალება ოქტომბრის დასაწყისამდე არ გვექნება. შეგვიძლია მხოლოდ 1 ივნისიდან მივიღოთ ცურვის მცოდნე ბავშვები.

ზღვა ახმაურდა...

დღეს, 13 საათზე, სტარტი მიეცემა (რა თქმა უნდა, თუ უამინდობამ არ შეუშალა ხელი) თბილისის ზღვის თასის მეხუთე გათამაშებას მცირე საკრებისერო ნავებით რბოლაში — ასე გაუწყეს 10 მაისს, რადგან სტარტის წინა დღეს, თბილისის თავზე ცა მოიქუფრა, საგრძნობლად აგრილდა, მალე ქარიც ამოვარდა და გაწვიმდა. სწორედ ამან გვაფიქრებინა, ვაი თუ ხვალ ისევ გაავდრდეს, თბილისელმა აფროსნებმა სტარტის აღება ვერ შეძლონო და შეჯიბრების ბრწყინვალე დაწყების („რა თქმა უნდა, თუ...“) იმიტომ დაეურთეთ, მაგრამ...

მეორე დღეს სტარტზე გასულ 20-მდე ეკიპაჟს ქარი და ავდარი სანატრელი გაუხდა. ქარი დროდადრო თუ უბიძგებდა ზღვის მოსარკულ ზედაპირზე დარწეულ ნავებს. ეკიპაჟებმა შტილისგან თავის დაღწევა სცადეს და ზურგქარის „დასაჭერად“ ზღვაში მიმოიფანტნენ. „გრემი“, „ტანძია“, „მეგობრობა“, „ეროსი“, „იორი“, „ნინო“... „სიო“ — ვკითხულობთ „ქარისმაძიებელ“ ეკიპაჟთა ნავების სახელებს, მაგრამ არც „სიოს“, არც სხვა ნავებს ბედმა არ გაუღიმა. როცა დაწინაურებულმა ეკიპაჟმა როდის-როდის მიაღწია პირველი მოსახვევის ნიშნულამდე, ცხადი გახდა, რომ საკონტროლო დროში ვერც ის მოასწრებდა რბოლის 10-მილიანი დისტანციის დაფარვას.

ერთი სიტყვით, პირველი რბოლა უშედეგოდ დამთავრდა, თუმცა, რატომ უშედეგოდ? თბილისის საიალქნო კლუბის საკრებისერო ნავების სექციის წევრებმა, უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, აგრომრეწვის, ტელერადიო კომიტეტის, საქტრანსგაზის, საქკურორტისა და სხვა ორგანიზაციების თანამშრომლებმა, სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანებმა შინაარსიანად გაატარეს კვირადღე — 5-6 საათი დაჰყვეს წყალზე და სუფთა ჰაერზე, რბოლის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, აზარტულად იბრძოლეს და შინ კმაყოფილები დაბრუნდნენ.

17 მაისს გაიმართა მეორე რბოლა... „ამინდს არა უშავს, საჩვენოა. მაგრამ წამში ორი მეტრით უფრო ძლიერი ქარი რომ ყოფილიყო, აჯობებდა“ — გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საკავშირო კატეგორიის არბიტრმა დიმიტრი ვარძელაშვილმა. იგი გაფაციცებული გაჰყურებდა ფინიშის ხაზს. აფრებდაბერილი ნავები ერთ-მეორის მიყოლებით ამთავრებდნენ რბოლას, ამიტომ მისთვის ალტრაფერი გვიკითხავს, მთავარი, რაც გვაინტერესებდა, გავიგეთ: თბილისის ზღვის თასის გათამაშება ბევრ ზღვადანატრებულ თბილისელს უკლავს „ზღვაოსნობის“ ჟინს.

X ტურის სტატისტიკა

18 მაისს გაიმართა სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის X ტურის მატჩები. მათი სტატისტიკური მონაცემები:

„ტორპედო“ — „დინამო“ (კიევი) 1:1 (0:0). ანგარიში 47-ე წუთზე გახსნა ტორპედოელმა შირინბეკოვმა, კიეველმა ბელანოვმა კი მატჩის დასასრულს საპასუხო ბურთი გაიტანა — 1:1. ამავე მატჩში წყდებოდა „სეზონის თასის“ საკითხიც, ამიტომ დაინიშნა დამატებითი 11-მეტრიანები. კიეველებმა ხუთივე პენალტი ზუსტად შეასრულეს, ტორპედოელებმა კი ერთი პენალტი ვერ გამოიყენეს (შირინბეკოვის დარტყმა მოიგერია მეკარე ჩანოვმა) და საერთო ანგარიშით 6:5 წარმატება წილად ხვდათ დინამოელებს.

დუბლიორები — 0:1.

„დნეპრი“ — ცსკა 0:0.

გააფრთხილეს დნეპროპეტროვსკელი ლატუჩენკო და არმიელი მედვედი.

დუბლიორები — 3:0.

„მეტალისტი“ — „სპარტაკი“ 0:0. გააფრთხილეს „მეტალისტის“ ფეხბურთელი მახნინა.

დუბლიორები — 0:3.

„ჟალგირისი“ — „ჭაირათი“ 1:0 (1:0). გოლი 27-ე წუთზე გაიტანა სუკრისტოვმა.

გააფრთხილეს ვილნიუსელი ტატუტკუსი.

დუბლიორები — 0:0.

„შახტიორი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 0:0.

დუბლიორები — 1:0.

„დინამო“ (მინსკი) — „ზენიტი“ 3:0 (3:0). პირველი ბურთი ლენინგრადელმა დოლგოპოლოვმა გაიტანა საკუთარ კარში, ალეინიკოვმა და კონდრატიევმა კი პირველ ტაიმშივე ანგარიში 3:0-მდე აიყვანეს.

დუბლიორები — 0:1.

● **განვლილი** ტური ფრიად დაბალი იყო შედეგიანობის თვალსაზრისით: 18 მაისის მატჩებში მეტოქეებმა სულ 8 ბურთი გაიტანეს, აქედანაც 7 მასპინძლებმა და მხოლოდ ერთი — სტუმრებმა.

● **ტურის** შეხვედრებში სტუმრებმა ვერც ერთი მატჩი ვერ მოიგეს, ათმა გუნდმა საერთოდ ვერ გაიტანა ბურთი და მინსკის დინამოელებს თავიანთ მინდორზე „ზენიტისთვის“ დიდი ანგარიშით რომ არ მოეგოთ, ტურის საერთო შედეგიანობა საშუალოდ ერთი გოლიც არ იქნებოდა.

● **ჩემპიონატის** ბომბარდირთა სიაში წინ არიან ა. ნარბეკოვსკი („ჟალგირისი“) და ვ. ტატარჩუკი (ცსკა), თითოეულმა მათგანმა 5 ბურთი გაიტანა.

● **მოსკოვის** „სპარტაკი“ ერთადერთია უმაღლეს ლიგაში, რომელსაც ჯერ ჩემპიონატის მატჩი არ წაუგია.

● **მიმდინარე** ჩემპიონატში ბაქოს „ნეფთჩის“ კარში 6 პენალტი დაინიშნა, მაგრამ 4 აილო მეკარე ა. ყიდკოვმა.

ბათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 21 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	10	7	0	3	25–11	14
„ჟალგირისი“	9	4	5	0	9–4	13
„დნეპრი“	10	5	2	3	16–10	12
„ჭაირათი“	10	5	2	3	17–15	12
„შახტიორი“	9	4	4	1	9–4	12
„ზენიტი“	10	4	3	3	16–15	11
„ნეფთჩი“	10	4	3	3	8–16	11
„დინამო“ კ.	7	4	1	2	15–9	9
„დინამო“ მნ.	10	4	1	5	17–12	9
„დინამო“ თბ.	9	3	3	3	14–15	9
ცსკა	10	4	0	6	12–18	8
„გურია“	9	3	2	4	9–12	8
„მეტალისტი“	10	3	2	5	9–13	8
„ტორპედო“	10	1	5	4	3–6	7
„დინამო“ მ.	9	2	2	5	6–10	6
„არარატი“	10	1	1	8	10–23	3

გასულ შაბათ-კვირას შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის კალენდარული მატჩები.

I ჯგუფი

„ქართლი“ (გორის რ-ნი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 2:0. მსაჯი ზ. დარჩია (თბილისი). გოლები: ტაბატაძე, ახალკაცი, გაბლიაშვილი („ქართლი“).

„სჭური“ (წალენჯიხა) — „ივერია“ (ხაშური) 2:0. მსაჯი მ. მალაღურაძე (თბილისი). გოლები: აფხაზავა, კვირტია („სჭური“).

წალენჯიხელი ფეხბურთელი გ. ზარქუა დემონსტრაციულად არ დაეთანხმა მსაჯს, რისთვისაც იგი გააფრთხილეს.

„შადრევანი“ (წყალტუბო) — „ამირანი“ (ონჩამჩირე) 2:0. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი). გოლები: გოგოლაძე, სვანაძე („შადრევანი“).

„ხალხენო“ (გეგეჭკორი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 0:0. მსაჯი მ. მაღლაფერიძე (ქუთაისი).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს „ეგრისის“ ფეხბურთელი ჯ. შონია.

„დურუჯი“ (ყვარელი) — „დინამო“ (გაგრა) 0:0. მსაჯი ლ. ჩიტაია (თბილისი).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ყვარელი თ. ტალახაძე. გაფრთხილეს, აგრეთვე, გაგრელები გ. ლილუა — დროის განზრახ გაყვანისთვის და გ. კვარაცხელია — მსაჯის სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის.

„სულორი“ (ვანი) — „ხაოჭელა“ (თერჯოლა) 1:0. მსაჯი ე. ხალვაგაშ (თბილისი). გოლი: ჭკადალეიშვილი („სულორი“).

„ხაშურელი“ (ჩხოროწყუ) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:1. მსაჯი ვ. შელია (ქუთაისი). გოლები: მ. ახალაია („სამეგრელო“), ლაბაძე („მეტალურგი“).

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 4:2. მსაჯი ი. შალამბერიძე (თბილისი). გოლები: ბეკოევი, ხუბეჯიშვილი-3 („სპარტაკი“), ხანთაძე, ხურცილავა („იმერეთი“).

„კოლხეთი“ (ხობი) — „მერცხალი“ (ზახარაძე) 2:1. მსაჯი ი. ლორთკიფანიძე (ტყიბული). გოლები: ჭომეთიანი-2 („კოლხეთი“), თოფურიძე („მერცხალი“).

საქართველოს პირველობა

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს მახარაძელი ფეხბურთელი ზ. ხომაშურიძე.

„დინამო“ (ზუგდიდი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:2. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი). გოლები: ქომეთიანი („დინამო“), მეტრეველი, ბაქრაძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

„კახეთი“ (თელავი) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:2. მსაჯი თ. კურტანიძე (თბილისი). გოლები: ჯაშიაშვილი („კახეთი“), გამყრელიძე-2 („არმაზი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს მცხეთელი ზ. სოლოღაშვილი. ასეთივე საქციელისთვის ყვითელი ბარათი დაიმსახურა „კახეთის“ ფეხბურთელმა ვ. ბალათრიშვილმა, ამის შემდეგ ვ. ბალათრიშვილმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს, რისთვისაც იგი მინდვრიდან გააძევეს.

II ჯგუფი

I ქვეჯგუფი. სასწავლო-საწვრთნელი მეურნეობა (მუხრანი) — „მეტალისტი“ (რუსთავი) 0:0, „სამგორი“ (გარდაბანი) — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) 4:1, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „ქიზიყი“ (სიღნაღი) 7:1, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხის რ-ნი) 2:0, „მშენებელი“ (რუსთავი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 0:0, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „თუშეთი“ (ქვემო ალვანი) 1:1, „გარეჯი“ (საგარეჯო) — „შირაქი“ (წითელი წყარო) 1:3.

II ქვეჯგუფი. „ვარძია“ (ასპინძა) — „ფარავანა“ (ბოგდანოვკა) 2:1, „თრიალეთი“ (წალკა) — „თორპედო“ (ბორჯომი) 3:1, „არაგვი“ (დუშეთი) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 4:1, „მესხეთი“ (ახალციხე) — „მეავეჯე“ (ახალდაბა) 1:1, „მარაბდა“ (კოდა) — „ზარზმა“ (ადიგენი) 2:1, „ავტომობილისტი“ (გორი) — „კოლმეურნე“ (მარნეულის რ-ნი) 3:1, „ბაგიათი“ (ჯავა) — „აბული“ (ახალქალაქი) 0:1.

III ქვეჯგუფი. „იბერია“ (ქარელი) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 1:1, „ზანა“ (აბაშა) — „კენტრომეტალურგმშენი“ (ზესტაფონი) 3:1, „ხვამლი“ (ცაგერი) — „იმერეთი“ (წულუკიძე) 1:4, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე) 1:0, „ორპირი“ (ტყიბულის რ-ნი) — „ქიმიკოსი“ (ამბროლაური) 4:2, ხდა (სამტრედია) — „ჰოგზარი“ (თერჯოლის რ-ნი) 3:0, „საირმე“ (მაიაკოვსკი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 4:0, „მამისონი“ (ონი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) 4:0.

IV ქვეჯგუფი. „კოლხეთი“-2 (ფოთი) — „ოდიში“ (ზუგდიდის რ-ნი) 3:3, „ნარინჯი“ (ქობულეთი) — „ნარინჯი“ (გონიო) 2:1, „ალიონი“ (გალის რ-ნი) — „ავტომობილისტი“ (ბათუმი) 2:2, უნივერსიტეტი (სოხუმი) — „ჩიბათი“ (ლანჩხუთი) 2:1, „განთიადი“ (ცხაკაია) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 0:1.

გამოტოვებული მატჩები. „დარჩელი“ (ზუგდიდის რ-ნი) — „ალიონი“ (გალის რ-ნი) 2:0, „ავტომობილისტი“ (ბათუმი) — „კოლხეთი“-2 (ფოთი) 2:1.

გალის „მზიურის“ მოგება ჩაეთვალა ბათუმის „დინამო“-2-თან.

ბათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 21 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შადრევანი“	14	11	0	3	25–11	22
„სჭური“	14	9	3	2	28–12	21
„სამეგრელო“	14	8	5	1	24–10	21
„კოლხეთი“	14	8	3	3	20–11	19
„მერცხალი“	14	6	7	1	19–8	19
ფიზკ. ინსტ.	14	7	4	3	21–13	18
„სპარტაკი“	14	7	3	4	25–17	17
„სულორი“	14	6	5	3	11–10	17
„ხალხინო“	14	5	7	2	16–13	17
„დინამო“ გ.	14	5	6	3	15–13	16
„საპოვნელა“	14	6	3	5	20–24	15
„მეტალურგი“	14	6	2	6	20–17	14
„დინამო“ ზ.	13	5	4	4	19–12	14
„ქართლი“	14	5	3	6	18–16	13
„ამირანი“	14	5	3	6	11–22	13
„იმ.“-დინ“-2	12	4	5	3	20–16	13
„ეგრისი“	14	4	5	5	18–18	13
„ცხაკაია“	14	4	3	7	23–25	11
„მადნეული“	13	3	4	6	17–17	10
„არმაზი“	14	3	3	8	11–23	9
„დურუჯი“	14	2	4	8	8–18	8
„იმერეთი“	14	1	4	9	14–33	6
ახ. საფ. სკ.	14	2	0	12	9–33	4
„ივერია“	14	0	2	12	7–27	2

I ლიგა

19 მაისს ჩაიშალა ქ. ლიგის ფეხბურთელთა ჩემპიონატის პრ. თამაშების XI ტურის მატჩები.

საქართველოს გუნდებმა ითამაშეს სტუმრად: ქუთაისის „ტორპედომ“ ორჯონიკიძეში ფრედ დაამთავრა მატჩი „სპარტაკთან“ — 0:0, ხოლო ბათუმის დინამოელებმა ასევე ჭულა აიღეს აბოვიანში „კოტაიკთან“ — 1:1.

კვლავ გაიმარჯვა ლიგის ლიდერმა ოდესის „ჩერნომორეცმა“. ოდესელებმა ლვოვში ანგარიშით 4:1 დაამარცხეს ასკ „კარპატი“. გაიმარჯვა რიგის „დაუგავამაც“ კუიბიშევში, სადაც მოუგო „კრილია სოვეტოვს“ — 3:2. წარმატებულად ითამაშა მოსკოვის „ლოკომოტივმა“, იგი საკუთარ მინდორზე ანგარიშით 1:2 დამარცხდა დონის როსტოვის „როსტსელმაშთან“.

სხვა მატჩები: „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „დინამო“ (სტავროპოლი) 1:2, „პამირი“ (დუშანბე) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 1:2, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 1:0, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 1:1, ასკ (დონის როსტოვი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 2:0.

ბათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჩერნომორეცი“	11	9	2	0	22–4	20
„დაუგავა“	10	7	1	2	17–9	15
„ლოკომოტივი“	12	5	5	2	14–8	15
„გეოლოგი“	11	5	4	2	13–7	14
„კოლოსი“	11	6	1	4	14–9	13
„როსტსელმაში“	10	6	1	3	14–9	13
„კუზბასი“	11	5	2	4	11–6	12
„შინიკი“	10	5	2	3	7–7	12
„ფახთაქორი“	10	5	1	4	11–11	11
„მეტალურგი“	10	4	2	4	12–11	10
„ზარია“	11	3	4	4	8–12	10
„დინამო“ სტ.	10	3	4	3	9–14	10
„პამირი“	10	3	3	4	12–12	9
„სპარტაკი“	10	3	3	4	6–7	9
„დინამო“ ბ.	11	3	3	5	7–11	9
„ლოკომოტივი“ ასკ რ.	10	3	2	5	10–14	8
„ფაკელი“	10	3	2	5	6–13	8
„ტორპედო“ ქ.	11	2	4	5	8–13	8
„კრ. სოვეტ.“	11	2	4	5	7–12	8
ასკ „კარპ.“	11	2	3	6	8–10	7
„როტორი“	10	1	4	5	6–15	6
	11	2	1	8	10–18	5

II ლიგა

II ლიგა, IX ზონა

II ლიგის IX ზონის საკავშირო გათამაშების VIII ტურის მატჩი ყაზახის „გოიაზანსა“ და ფოთის „კოლხეთს“ შორის დამთავრდა „გოიაზანის“ გამარჯვებით — 3:1.

ბათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომოტივი“	8	6	2	0	11–1	14
„ქიმფაზი“	8	5	2	1	16–9	12
„ვოსხოდი“	8	5	1	2	11–5	11
„ყარაბახი“	8	4	1	3	12–7	9
„ავტომობილ.“	8	4	1	3	12–10	9
„ოლიმპია“	8	4	0	4	7–9	8
„დინამო“	8	3	2	3	11–8	8
„სპარტაკი“	8	3	2	3	9–13	8
„შევარ.“-სპი	7	3	1	3	9–9	7
„ქოლხოზჩი“	8	2	3	3	8–7	7
„კოლხეთი“	8	2	3	3	8–12	7
„ლორი“	8	3	0	5	4–8	6
„დილა“	7	2	2	3	8–12	6
„გოიაზანი“	8	2	2	4	6–10	6
„მეტალურგი“	8	2	1	5	6–9	5
„მეშახტე“	6	0	1	5	2–11	1

საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

იტალია

ბოლო ტურში „ნაპოლიმ“ ფრედ (1:1) დაამთავრა შეხვედრა „ასკოლისთან“. ტურინის „იუვენტუსმა“ დაამარცხა „ბრეშია“ (3:2) და მეორე ადგილზე გავიდა. ტურინელთაგან ბურთები გაიტანეს სერენამ, ბრიომ და ბონეტიმ. ამ შეხვედრის შემდეგ მიშელ პლატინიმ განაცხადა, რომ თავს ანებებს ფეხბურთს.

„ინტერისა“ და „ელასის“ მატჩი ფრედ (0:0) დასრულდა.

„სამპდორიამ“ სძლია „ტორინოს“ — 3:0 (ვიალი, ბრიგელი, მანინი). ფრედ (0:0) დასრულდა „უდინეზესა“ და „მილანის“ მატჩი. ამ შეხვედრაში მსაჯმა მინდვრიდან გააძევა მილანელი ჰეტლი და „უდინეზეს“ მეკარე აბატე, რომლის მაგივრად კარში მცველი ფრანჩესკო როსი ჩადგა.

სხვა შეხვედრები: „აველინო“ — „რომა“ 2:1, „კომო“ — „ემპოლი“ 0:1, „ფიორენტინა“ — „ატალანტა“ 1:0.

„სამპდორია“ და „მილანი“, რომლებსაც ქულების ერთნაირი რაოდენობა აქვთ, დამატებით მატჩს ჩაატარებენ უეფა-ს თასზე მონაწილეობის მისაღებად. ეს უფლება მოიპოვეს „იუვენტუსმა“, „ინტერმა“ და „ვერონამ“. „ა“ სერია დასტოვეს „ბრეშიამ“, „ატალანტამ“ და „უდინეზემ“. საუკეთესო ბომბარდირის ჯილდო გადაეცა ვირდისს — 17 ბურთი, 12 გოლი გაიტანა ვიალიმ, 11—ალტობელიმ, ხოლო 10-10 — მარადონამ, დიასძა და სერენამ.

	თ.	ბ.	ქ.
„ნაპოლი“	30	41:21	42
„იუვენტუსი“	30	42:27	39
„ინტერი“	30	32:17	38
„ელასი“	30	36:25	36
„სამპდორია“	30	37:21	35
„მილანი“	30	31:21	35
„რომა“	30	37:31	33

ინგლისი

მოულოდნელად დამთავრდა თასის ფინალი — „ქოვენტრი სიტიმ“ დამატებით დროში დაამარცხა „ტოტენჰემ ჰოტსპური“ (3:2). გადამწყვეტი გოლი საკუთარ კარში „ტოტენჰემის“ ფეხბურთელმა მეტებმა გაიტანა. ამ შეხვედრაში ანგარიში „ტოტენჰემის“ თავდამსხმელმა კლაივ ალენმა გახსნა და წლევანდელი სეზონი 49 გატანილი ბურთით დაამთავრა.

რამდენიმე დღით ადრე, ჩემპიონატის ბოლო მატჩში „ევერტონმა“ დაამარცხა „ტოტენჰემი“ (1:0), რომელიც თასის ფინალისთვის ემზადებოდა და სათადარიგო შემადგენლობით გამოვიდა მინდორზე, რისთვისაც ფედერაციისაგან ჯარიმა მოელის.

„ევერტონი“	42	76:31	86
„ლივერპული“	42	72:42	77
„ტოტენჰემი“	42	68:43	71
„არსენალი“	42	58:35	70
„ნორვიჩ სიტი“	42	53:51	68

შოტლანდია

თასის ფინალში უეფა-ს თასის ფინალისტი „დანდი იუნაიტედი“ დამარცხდა (0:1) „სენტ მირენთან“. რომელიც ჩემპიონატში მხოლოდ მე-7 დგილზე გავიდა. „სენტ მირენი“ შემდეგ სეზონში თასების მფლობელთა თასზე იასპარეზებს, „გლაზგო რეინჯერსი“ ჩემპიონთა თასზე გამოვა, ხოლო „სელტიკი“, „დანდი იუნაიტედი“ და „აბერდინი“ — უეფა-ს თასზე.

გშრ

29-ე ტურში „ჰამბურგი“ დამარცხდა დორტმუნდში „ბორუსიასთან“ (3:4). „ბაიერნს“, რომელმაც ფრეს (0:0) მიაღწია ლევერკუზენში „ბაიერთან“, ვეღარაფინ შეეცილება ჩემპიონობას.

სხვა შეხვედრები: „ბლაუ ვაისი“ — „კოლონი“ 1:1, „ბაიერი“ (იურდინგენი) — „ვერდერი“ 1:1, „ჰომბურგი“ — „ბოხუმი“ 3:1, „ვალდჰოფი“—„აინტრახტი“ (ფრანკფურტი) 2:1. „შალკე-04“—„კაიზერსლაუტერნი“ 3:2, „ფორტუნა“ (დიუსელდორფი) — „ნიურნბერგი“ 1:1, „შტუტგარტი“ — „ბორუსია“ (მონხენგლადბახი) 2:4.

„ბაიერნი“	29	56:26	45
„ჰამბურგი“	29	55:31	39

ესპანეთი

მადრიდის „რეალმა“ ბარსელონაში სძლია „ესპანიოლს“ (3:2), ბურთები გაიტანეს უგო სანჩესმა (2) და მიჩელმა. „ბარსელონა“ დამარცხდა სარაგოსაში „რეალთან“ (1:2), ხოლო ხიხონის „სპორტინგისა“ და მალიორკის „რეალის“ შეხვედრა ფრედ (1:1) დამთავრდა.

„რეალი“ (მადრიდი)	29	70:32	59
„ბარსელონა“	29	55:24	55

პასუხს აგებენ

ნუთუ ეს მართალია?—გაკვირვებული ვეკითხებოდით ერთმანეთს, როცა რედაქციაში აღმაშფოთებელი ცნობა მივიღეთ მახარაძიდან. ამ ქალაქში ჩაუტარებიათ ლანჩხუთის „გურიისა“ და ადგილობრივი გუნდის ამხანაგური შეხვედრა, რომელზე დასახწრებადაც მრავალრიცხოვანი მაყურებლისთვის მიუყიდიათ... ყალბი, რეგისტრაციაში გაუტარებელი ბილეთები. დაუყოვნებლივ დავუკავშირდით ჩვენს კორესპონდენტს ქუთაისში და ვთხოვეთ უმალვე გამგზავრებულიყო მახარაძეში. სამწუხაროდ, უკვე ადრი ნამდვილი გამოდგა და არა ჭორი. დიახ, ჩამწუხარება, რომ დღეს, როცა უველანი ერთად, ახე შემართებით და ერთსულოვნად ვიბრძვით ჩვენი ცხოვრების უოველი ხფეროს გაჯანსაღებისთვის, ზოგიერთს კვლავ დანაშაულზე უჭირავს თვალი. ამ შემთხვევის გამო, რაც მახარაძეში მოხდა, ალბათ რამდენიმე ოჯახი უნდა გამწარდეს და აფორიაქდეს — იურიდიულ ენაზე რომ ვთქვათ, დანაშაული ჯგუფურია. მახარაძის სტადიონის და ჩოხატაურის სტამბის ხელმძღვანელებმა, ცხადია, სხვებმაც, კარგად იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ. როგორც ჩვენმა კორესპონდენტმა გვაცნობა, დამნაშავეთა წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

შედეგებს გაცნობებთ.

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში



დაუმთავრებელი ტური

ბბსულ შაბათ-კვირას კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მხოლოდ სამ-სამი კალენდარული შეხვედრა ჩატარდა. სხვა მატჩები გადაიდო იმის გამო, რომ თბილისის „ბურევესტნიკი“ საკავშირო თასის ზონალურ ტურნირში სააპარეზოდ გაემგზავრა და რესპუბლიკური ჩემპიონატის ზოგიერთი მონაწილე ამ გუნდს თან გაჰყვა.

16 მაისი. „დინამო“ (თბილისი) — გორი 79:72 (34:39). მსჯ.: რ. გოგელია და გ. მოლოდინაშვილი, კომისარი — მ. ქურაძე (ყველა — თბილისი).

„დინამო“: ქორფაშვილი (21), ვასაძე (13), დაუშვილი (12), ი. ბაქრაძე (10), მოველიძე (10), გეგეშიძე (10). ცაგარეიშვილი (3).

გორი: სულხანიშვილი (24), ჩხეტიანი (19), ქერდიყოშვილი (11), ზამთარაძე (5), ზიბზიბაძე (4), მჭედლიძე (4), რუსიშვილი (3), ხაჩიური (2).

17 მაისი. „დინამო“ (თბილისი) — გორი 85:80 (46:29, 71:71). მსჯ.: რ. გოგელია, გ. მოლოდინაშვილი, კომისარი — მ. ბაგრატიონი (ყველა — თბილისი).

„დინამო“: გეგეშიძე (23), ი. ბაქრაძე (16), მოველიძე (16), ქორფაშვილი (15). დაუშვილი (10), ვასაძე (5).

გორი: ზამთარაძე (27), ზიბზიბაძე (17), ჩხეტიანი (13), რუსიშვილი (6), სულხანიშვილი (6), ხაჩიური (5), ქერდიყოშვილი (4), მჭედლიძე (1), ჰეღელიძე (1).

ისევე, როგორც პირველ წრეში, ამ გუნდების შეხვედრა ამჯერადაც უაღრესად მძაფრი ბრძოლით აღინიშნა. განსაკუთრებით დრამატული მეორე ნამაში იყო. მატჩისთვის განკუთვნილმა 40-მა წუთმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. თბილისის ნორჩმა დინამოელებმა უპირატესობას მხოლოდ დამატებით ხუთ წუთში მიაღწიეს. სამქულიანი ტყორცნების კონკურსში პირველ დღეს გორელმა ქერდიყოშვილმა გაიმარჯვა, მეორე დღეს — დინამოელმა ა. აბელოვმა.

16 მაისი. რუსთავი — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 79:84 (43:39). მსჯ.: ა. როსტომაშვილი, ზ. დიდბარიძე, კომისარი — გ. სვანიძე (ყველა — თბილისი).

რუსთავი: აბაშიძე (25), გაჩეჩილაძე (20), ქობულიძე (15), ჭანტურიძე (15), კეპაყმაძე (4), პაპუაშვილი.

პოლიტექნიკური ინსტიტუტი: გაბრიჭიძე (22), ჯამარჯიშვილი (20), ვაშაკიძე (16), პეტრიაშვილი (11), ლიპარტელიანი (8), ცაგარეიშვილი (4), ჩხიკვაძე (3). წურწუმია.

17 მაისი. რუსთავი — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 70:73 (37:34). მსჯ.: გ. ავალიშვილი, ა. როსტომაშვილი, კომისარი — გ. სვანიძე (ყველა — თბილისი).

რუსთავი: ქობულაძე (22), გაჩეჩილაძე (18), აბაშიძე (11), ჭანტურიძე (10), კეპაყმაძე (9).

პოლიტექნიკური ინსტიტუტი: ვაშაკიძე (21), ლიპარტელიანი (14), გაბრიჭიძე (12), ცაგარეიშვილი (12), ინწკირველი (6), ჯამარჯიშვილი (6), წურწუმია (2), პეტრიაშვილი, ჩხიკვაძე.

ტრავმირებული გიორგობიანის გარეშე პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებს აშკარად უჭირთ. რუსთაველებმა ორივე მატჩის პირველი ნახევარი თავის სასარგებლოდ დაამთავრეს. ისინი მეორე ტაიმშიც დიდხანს წინ იყვნენ, მაგრამ... ორთავე შემთხვევაში მატჩის ბედი თბილისელთა „გრძელმა სკამმა“ გადაწყვიტა. მასპინძელთა ხუთეულს ბოლომდე ძალა არ ეყო.

16 მაისი. ბათუმი — თელავი 65:56 (27:27). მსჯ.: რ. გელოვანი (თბილისი), ი. მელაძე (ქუთაისი), კომისარი — ნ. გელაძე (თბილისი).

ბათუმი: მ. ემირიძე (28), ლოლიშვილი (11), ფურიანი (11), ვიშნიაკოვი (8), მეტრეველი (3), ქლენტი (2), ხელაძე (2).

თელავი: უძილაური (25), ტურაშვილი (13). სულხანიშვილი (9), დაღელიშვილი (9), ვარდიაშვილი, ბოლქვაძე.

17 მაისი. ბათუმი — თელავი 76:55 (36:28). მსჯ.: რ. გელოვანი (თბილისი), ი. მელაძე (ქუთაისი), კომისარი ნ. გელაძე (თბილისი).

ბათუმი: მ. ემირიძე (33), ფურიანი (18), შევცოვი (8), ხელაძე (6), ლოლიშვილი (6), მეტრეველი (5).

თელავი: უძილაური (24), ტუხაშვილი (12), ვარდიაშვილი (8), დაღელიშვილი (7), ბოლქვაძე (4).

დაბალი შედეგიანობა ამ შეხვედრებში პირველ რიგში იმით უნდა ავხსნათ, რომ მეტოქეები მეტ ყურადღებას დაცვას ანიჭებდნენ, თავდამსხმელები კი კალათში მაინც და მაინც ზუსტად ვერ ისროდნენ. ბათუმელებმა მთლიანად გამოიყენეს საკუთარი კედლების უპირატესობა და ორივე შეხვედრა მოიგეს, თუმცა თელაველმა კალათბურთელებმა პირველი მატჩის პირველი ნახევარი ჯარგად ჩაატარეს.

• • •

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ტურების რამდენიმე მატჩი გადაიდო. ამიტომაც გათამაშების ცხრილებს შეგნებულად არ ვბეჭდავთ. პირველ ქვეჯგუფში ლიდერის პოზიცია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებმა დაიბრუნეს, მაგრამ უნივერსიტეტის გუნდთან შედარებით მათ ორი შეხვედრით მეტი აქვთ ჩატარებული. პოლიტექნიკოსებს დღეისათვის 14 მატჩიდან 25 ქულა აქვთ (უნივერსიტეტს—12-დან 22). თბილისის დინამოელებმა ბოლო ორი გამარჯვებით საგრძნობლად გამოიკეთეს სატურნირო მდგომარეობა. ახლა მათ 14 შეხვედრის შემდეგ 22 ქულა აქვთ.

მეორე ქვეჯგუფში ფაქტიურად მხოლოდ აუტსაიდერთა მატჩები ჩატარდა. ამიტომ სატურნირო ცხრილის ზედა ნახევარში მდგომარეობა უცვლელი დარჩა. ბათუმის გუნდმა 14 მატჩში 18 ქულა დააგროვა (V ადგილი), თელავმა — 16 (VI ადგილი).

ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

კალათბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის 15 და 16 ტურების მატჩები 23-24 მაისს გაიმართება. თბილისში კალენდრის თანახმად სამი შეხვედრა უნდა ჩატარდეს. სამივეს კიროვის სახელობის პარკის დახურული დარბაზი უმასპინძლებს. მატჩების განრიგი ასეთია:

23-24 მაისი

„დინამო“ (თბილისი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 11.00.

პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — გორი 12.30

„მართვე“ (თბილისი) — თელავი 14.00

რუსთავის გუნდი სოხუმის კალათბურთელებს უმასპინძლებს, ბათუმი — თბილისის „სინათლეს“, ქუთაისი — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს.

ბრაზილიელები ევროპაში...

დაწყო ბრაზილიის ფეხბურთელთა ვროვნული ნაკრების ტურნე ევროპაში. ბრაზილიელებს პირველი საერთაშორისო მატჩი 19 მაისს ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე ჰქონდათ ინგლისის ნაკრებთან. თამაშს 92 ათასი მაყურებელი დაესწრო.

ბრაზილიელთა ტურნე დაუკავშირეს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის ინგლისელი სტენლი როუზის სახელს. ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ ბრაზილიის, ინგლისისა და შოტლანდიის ნაკრები გუნდები.

35-ე წუთზე ანგარიში გახსნა მასპინძელთა ფორვარდმა, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერმა ჰარი ლინეკერმა, ერთი წუთის შემდეგ კი ბრაზილიელმა მირანდინიამ საპასუხო ბურთი გაიტანა — 1:1. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში შვიდი დებიუტანტი გამოდიოდა.

ბენტუ კვლავ მინდორზეა

ლისაბონის „ბენფიკისა“ და პორტუგალიის ნაკრების მეკარეს, 38 წლის ბენტუს ფეხის დაშავების გამო 9 წლის მანძილზე არ უთამაშია. ოპერაციის შემდეგ იგი თანდათან ჩადგა ფორმაში და გუნდსაც დაუბრუნდა.

რედაქტორი თ. გაჩეჩილაძე.



23-28 მაისს თბილისის სპორტის სახახლეში გაიმართება სსრ კავშირის XXVI ჩემპიონატის მე-5 ტური ხელბურთში უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდებს შორის.

იახპარეზებენ: კიევის ასკ, ლენინგრადის „ნევა“, კაუნასის „გრანიტასი“, კრასნოდარის სკიფ-ტირასპოლის სკ და თბილისის „ბურევესტნიკი“.

მატჩები დაიწყება: 23 და 24 მაისს — 15 საათზე.

25-27 და 28 მაისს — 16 საათზე.

26 მაისს ტურნირის მონაწილეები დაისვენებენ.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

ყოველ საღამოს გათამაშდება ლატარია. შემთხვევითი ბილეთის მფლობელს შეუძლია ურიგოდ, ნაღდ ანგარიშზე შეიძინოს ავტომანქანა „ჟიგული“.

პირველად...

მოყვარულ რეგბისტთა მსოფლიო თასის გათამაშება

17 მაისს ახალი ზელანდიის ქალაქ ოკლენდში საზეიმოდ გაიხსნა წლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სპორტული შეჯიბრება — მოყვარულ რეგბისტთა მსოფლიო თასის პირველი გათამაშება. შეჯიბრება თავისი მასშტაბით მართლაც რომ უმაგალითოა რეგბის 164-წლიან ისტორიაში: თუ აქამდე ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროების გუნდები მხოლოდ ტურნეების დროს, არარეგულარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს, რაც მსოფლიოს უძლიერესი გუნდის განსაზღვრის საშუალებას არ იძლეოდა, ამჯერად ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში 16 საუკეთესო ნაკრების ბრძოლაში გაირკვევა ვის რომელი საფეხური უჭირავს მსოფლიო გრანდების ეერარქიულ კიბეზე.

მსოფლიო თასის გათამაშება ორი ეტაპისაგან შედგება. ჯერ 4 ქვეჯგუფში ერთ წრედ მოეწყობა შეჯიბრებები, შემდეგ კი ქვეჯგუფებში გამოვლენილი ორ-ორი საუკეთესო გუნდი ოლიმპიური სისტემით გააგრძელებს ასპარეზობას. გაგაცნობთ ქვეჯგუფების შემადგენლობას:

„ა“ ქვეჯგუფი: ავსტრალია, ინგლისი, იაპონია, აშშ.

„ბ“ ქვეჯგუფი: ირლანდია, უელსი, ტონგა, კანადა.

„გ“ ქვეჯგუფი: ახალი ზელანდია, არგენტინა, ფიჯი. იტალია.

„დ“ ქვეჯგუფი: შოტლანდია, ხაფრანგეთი, ზიმბაბვე, რუმინეთი.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრების ფავორიტები — რეგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) 7 წევრის — ინგლისის, შოტლანდიის, ირლანდიის, უელსის, საფრანგეთის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, აგრეთვე 80-იან წლებში მომძლავრებული არგენტინის გუნდები სხვადასხვა ქვეჯგუფში არიან განთესილი ძალთა გასათანაბრებლად.

„ა“ ქვეჯგუფის წევრი გუნდების ასპარეზობა ავსტრალიაში — სიდნეისა და ბრისბენში ჩატარდება, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეჯგუფების გუნდები კი ახალი ზელანდიის ქალაქებში — ველინგტონში, პალმერსტონში, დანიდინში, ოკლენდში, ქრაისთჩერჩსა და როტორუაში ითამაშებენ



პირველი მატჩი 22 მაისს გაიმართება ოკლენდის „იდენ ფარკზე“. ერთმანეთს შეხვდებიან ახალი ზელანდიისა და იტალიის გუნდები.

20 ივნისს კი ოკლენდში გაიმართება ფინალური მატჩი, გამარჯვებული რეგბის თამაშის გამომგონებლის, ლეგენდარული უილიამ უებ ელისის სახელობის გარდამავალი თასით დაჯილდოვდება. ეს თასი ოქროცურვილი ვერცხლისაგან დამზადდა. იგი XIX-XX საუკუნეების მიჯნის სპორტულ პრიზებს მოგვაგონებს. ავტორთა ჩანაფიქრით თასის სტილიზებულმა ფორმამ ხაზი უნდა გაუსვას ამ თამაშის მრავალწლიან (1820-იანი წლებიდან დღემდე) ისტორიას.

ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში თითოეული ნაკრების შემადგენლობაში 26 მოთამაშე იქნება, მაგრამ გუნდები შინ დატოვებენ 12-12 სათადარიგო რეგბისტს, რომლებიც მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩავლენ შეჯიბრებაზე, თუ ძირითადი შემადგენლობის წევრი დაშავდება.

მსოფლიო თასის გათამაშების მატჩების დაწყებამდე ავსტრალიის რეგბის კავშირის მოთხოვნით ირბ-მ გადასინჯა ტარიფი, რომლის მიხედვითაც საზღვარგარეთ ასპარეზობის დროს მოთამაშეებს სპონსორთა მიერ შექმნილი ფონდიდან ყოველდღიურად 15 გირვანქა სტერლინგის მიღება შეეძლოთ ხელფასის საკომპენსაციოდ. ახალი ტარიფით დღიური „ულუფა“ 30 გირვანქა სტერლინგს შეადგენს, თუმცა ინგლისისა და შოტლანდიის რეგბის ხელმძღვანელებმა ესეც კი რეგბისტთა სამოყვარულო სტატუსის შეურაცხყოფად ჩათვალეს და სიახლის წინააღმდეგ გაილაშქრეს. რაც შეეხება შემოსავალს, რომელმაც უკვე 16 მილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა, თანხის ნაწილი მონაწილე ქვეყნების რეგბის კავშირებს დაურიგდება, ნაწილს ირბ მსოფლიოში რეგბის პოპულარიზაციის საქმეს მოახმარს. არადა, შეჯიბრების ორგანიზატორები შეშობდნენ, რომ შემოსავალი ვერ დაფარავდა ხარჯებს და სინანულით ამბობდნენ, აჯობებდა შეჯიბრება ევროპაში გამართულიყო, რადგან აქ მატჩებს 20-25 ათასი მაყურებელი ესწრება, იქ კი 70 ათასიო.

ერთი სიტყვით, ჩანს, ეს დიდი მასშტაბის შეჯიბრება მსოფლიოში სამოყვარულო რეგბის განვითარებას ახალ, მძლავრ იმპულსს მისცემს.

სპორტლოტო

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები 10 მაისს გამართული „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-19 ტირაჟებისა.

„სპორტლოტო 6 45“-დან: გაიყიდა 786140 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (40 ბარათი) მოგება 1389 მანეთია, ოთხისთვის (2187) — 32, სამისთვის (32752) — 3.

„სპორტლოტო 5 36“-იდან: გაიყიდა 7.324.201 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (36 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (7630) — 113, სამისთვის (242186) — 4.

მე-19 ტირაჟების მოგებული თანხის განაღდება იწყრმოებს 25 მაისიდან 25 ივნისის ჩათვლით.

ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 21 მაისი. დილის დაფურვა — 8.00 (1); დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); რიტმული ტანვარჯიში — 21.15 (2); მშვიდობის ველორბოლა — 22.40 (1); ევროპის ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში — 23.45 (1).

22 მაისი. დილის დაფურვა — 8.00 (1); დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); საჭადრაკო სკოლა — 14.05 (2); სსრ კავშირის თასი ფეხბურთში: ნახევარფინალი — 19.30 (2), ევროპის ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში — 22.40 (1); მსოფლიო თასი სასტენდო სროლაში — 23.30 (2); მშვიდობის ველორბოლა — 1.15 (1).

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096. თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები: სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, წერილების განყოფილება — 93-97-55, „მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენიანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ობიექტურია წესით საგაზეთო კორპუსში: ზოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06920